ნესტორ
ყუბანეიშვილი

მოკლე კატეხიზები

ნესტორ ყუბანეიშვილი

მოკლე კატეხიზმო

„ხელოვნება“ — თბილისი — 1991

საპატრიარქოს + ბიბლიოთეკა + ეროვნული

86.37
У 862

ნესტორ ყუბანეიშვილი ქუთაისის წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი, შემდეგ არქიმანდრიტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, თავის შემოქმედებით მოზარდი თაობის ქრისტიანული ზნეობით აღზრდას ემსახურებოდა.

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ყმაწვილთადმი ელემენტარული საქრისტიანო ცოდნის მისაწოდებლადაა გამიზნული, ამოღებულია მისი წიგნიდან „პირველდაწყებითი დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე“ (ქუთაისი, 1905 წ.) და რედაქტირებულია ჩვენს მიერ თანამედროვე ენობრივ-სტილისტური ნორმების შესაბამისად.

ზ. კალანდაძე
ე. გიუნაშვილი

კოოპერატივი „მთაწმინდა“

У $\frac{0403000000}{М—645(06)=90}$ © ნესტორ ყუბანეიშვილი, 1991

ქრისტიანული მოძღვრება

კითხვა: რომელი მოძღვრება უფრო საჭიროა ყოველი კაცისათვის?

მიგება: ქრისტიანული მოძღვრება.

კ. რატომ არის ის საჭირო?

მ. იმიტომ, რომ იძლევა ნამდვილ ცოდნას ღმერთის შესახებ და გვიჩვენებს საუკუნო ცხოვრებისა და ნეტარების გზას.

კ. რომელ მოძღვრებას იცავ შენ?

მ. მე ვიცავ იესო ქრისტეს მოძღვრებას და მწამს, რომ იესო არის ღმრთის ძე.

კ. ამიტომ რა გეწოდება შენ?

მ. მე მეწოდება ქრისტიანი.

კ. ყველა ქრისტიანს ერთნაირად სწამს?

მ. ყველას ერთნაირად არ სწამს, ზოგიერთნი ჭეშმარიტ მოძღვრებას უკანონოს უმატებენ.

კ. შენ როგორ გწამს?

მ. მე მწამს მართლად (ნამდვილად) ისე, როგორც გვასწავლეს ჩვენ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა.

კ. ამიტომ შენ კიდევ რა გეწოდება?

მ. მე მეწოდება მართლმადიდებელი ქრისტიანი.

კ. რა არის საჭირო სულის საცხოვნებლად (გადასარჩენად)?

მ. უნდა გვქონდეს ღმრთის მიმართ მართალი სარწმუნოება, მტკიცე სასოება (იმედი), გულწრფელი სიყვარული ღმრთისა და მოყვასისა.

სარწმუნოების სიმბოლო

კ. რა არის სარწმუნოება?

მ. სარწმუნოება არის უხილავის რწმუნება (დაჯერება), როგორც ხილულისა.

კ. როგორ უფრო ადვილია ღმრთის მართალი სარწმუნოების შესწავლა?

მ. სარწმუნოების სიმბოლოს საშუალებით.

კ. რა არის სარწმუნოების სიმბოლო?

მ. მოკლედ, მაგრამ ჭეშმარიტი სიტყვებით გადმოცემული მოძღვრება იმის შესახებ, თუ რა უნდა სწამდეს ქრისტიანს.

კ. როგორ გამოითქმის სარწმუნოების სიმბოლო?

მ. 1) მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა;

2) და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა;

3) რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა;

4) და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე, და ივნო, და დაეფლა;

5) და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა;

6) და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა;

7) და კვალად მომავალ არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა **არა** არს დასასრულ;

8) და სულიწმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანისიცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ;

9) ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

10) აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა;

11) მოველი აღდგომასა მკვდრეთით.

12) და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნისასა, ამინ.

კ. რამდენ ნაწილად, ანუ მუხლად განიყოფება სარწმუნოების სიმბოლო?

მ. თორმეტ მუხლად.

პირველი მუხლი

კ. რას ნიშნავს: მრწამს ერთი ღმერთი, მამა?

მ. მე მწამს, რომ არსებით ღმერთი არის ერთი, მაგრამ სამსახოვანი: პირველი სახე არის მამა ღმერთი, მეორე — ძე ღმერთი, მესამე — სულიწმიდა ღმერთი. ამიტომ ღმერთს ვუწოდებთ ყოვლადწმიდა სამებას, ერთარსებას და განუყოფელს.

კ. ყოვლადწმიდა სამების სამივე სახე თანასწორი ღირსებისაა?

მ. სრული და თანასწორი ღირსების არიან და ამიტომ შეეფეფერება მათ ერთნაირი დიდება, პატივი და თაყვანისცემა.

კ. რა გვაქვს გამოცხადებული ღმრთის არსებისა და თვისებების შესახებ?

მ. ჩვენ გვაქვს გამოცხადებული, რომ ღმერთი არის სული საუკუნო. ყოვლადკეთილი, ყოვლისმცოდნე, ყოვლადმართალი, ყოვლადძლიერი, ყოველგან მყოფი, უცვალებელი, ყოვლად ნეტარი.

კ. რით განირჩევიან ყოვლადწმიდა სამების სახენი?

მ. მამა ღმერთი არც იშობა და არც გამოდის სხვა პირისაგან; ძე ღმრთისა იშობა მამა ღმერთისაგან; სულიწმიდა გამოდის მამა ღმერთისაგან.

კ. რატომ ვუწოდებთ ღმერთს ყოვლისა მპყრობელს?

მ. იმიტომ, რომ მას ემორჩილება ყოველივე, რაც კი არის.

კ. რატომ ვუწოდებთ ღმერთს შემოქმედს?

მ. იმიტომ, რომ მან შექმნა ცა და ქვეყანა, ყოველივე ხილული და უხილავი.

კ. რას ვგულისხმობთ „უხილავში“?

მ. ანგელოზებს.

კ. რა არიან ანგელოზები?

მ. უხორცო სულნი (უსხეულონი), რომელთაც მინიჭებული აქვთ გონება, ნება და ძალა.

კ. რას ნიშნავს სიტყვა: ანგელოზი?

მ. მაუწყებელს (მოამბეს).

კ. რატომ ეწოდებათ ასე?

მ. იმიტომ, რომ ღმერთი აგზავნის მათ თავისი ნების მაუწყებლად.

კ. რა არის მფარველი ანგელოზი?

მ. ანგელოზი, რომელიც ყოველ ქრისტიანს ეძლევა ღმრთისაგან ნათლისღების დროს, რომ დაიფაროს მისი სული და ხორცი ყოველგვარი ბოროტებისა და ეშმაკისაგან.

კ. რა არის ეშმაკი?

მ. ცოდვილი და ღმრთისაგან შერისხული ანგელოზი, რომელსაც შურს კაცისა და ცდილობს, აცდუნოს და ჩაადენინოს ცოდვა.

კ. როგორ უნდა დავიცვათ თავი ეშმაკის ცდუნებისაგან და ყოველგვარი ბოროტისაგან?

მ. ქრისტე ღმერთის სახელით (ხსენებით), ლოცვითა და მარხვით.

კ. რა არის ღმრთის განგება?

მ. ღმრთის განგება არის ღმერთის მოქმედება, რომლითაც ის იფარავს ქმნილებათა მყოფობას, ყოველ კეთილ საქმეს ჩადის, ხოლო ბოროტს — სპობს, ან ასწორებს და მიმართავს კეთილი შედეგისაკენ.

მეორე მუხლი

კ. რაზეა ლაპარაკი მეორე მუხლში?

მ. ყოვლადწმიდა სამების მეორე სახის, ღმრთის ძის, იესო ქრისტეს, შესახებ.

კ. რას ნიშნავს სიტყვა: იესო?

მ. იესო ნიშნავს მაცხოვარს.

კ. რას ნიშნავს ქრისტე?

მ. ქრისტე ნიშნავს ცხებულს.

კ. რატომ ეწოდება ღმრთის ძეს მაცხოვარი?

მ. იმიტომ, რომ ის იშვა კაცთა საცხოვნებლად (გადასარჩენად).

კ. რას ნიშნავს სიტყვები: მწამს იესო ქრისტე, ძე ღმრთისა?

მ. იმას, რომ უფალი იესო ქრისტე არის ძე ღმრთისა, ყოველადწმიდა სამების მეორე სახე.

კ. რატომ ეწოდება მას მხოლოდშობილი?

მ. იმიტომ, რომ ის არის მხოლოდ ერთი ძე ღმრთისა, შობილი მამა ღმრთის არსებისაგან.

კ. რას ნიშნავს: შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა?

მ. იმას, რომ ის შობილია ყოველ დროზე ადრე, ე. ი. ის არის ისეთივე საუკუნო ძე ღმრთისა, როგორც საუკუნოა მამა ღმერთი.

კ. რას ნიშნავს: ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილი?

მ. იმას, რომ იესო ქრისტე არის ნათელი, და შობილი აგრეთვე ნათლისაგან, რომ ის არის ჭეშმარიტი ღმერთი და შობილი ასევე ჭეშმარიტი ღმერთისაგან.

კ. რას ნიშნავს: შობილი და არა ქმნილი?

მ. იმას, რომ იგი შობილი არის მამა ღმერთისაგან და არა შექმნილი, როგორც სხვა ქმნილებები.

კ. რას ნიშნავს: თანაარსი მამისა?

მ. რომ მას აქვს ერთიდაიგივე არსება მამა ღმერთთან.

კ. რას ნიშნავს: რომლისაგან ყოველი შეიქმნა?

მ. იმას, რომ ღმრთის ძისაგან შექმნილია ყოველივე, როგორც მამა ღმერთისაგან, ე. ი. ის არის ისეთივე შემოქმედი, როგორიცაა მამა ღმერთი.

მესამე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი სიმბოლოს მესამე მუხლში?

მ. ღმრთის ძის, იესო ქრისტეს განხორციელების შესახებ.

კ. რას ნიშნავს სიტყვები: რომელი ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით?

მ. იმას, რომ ძე ღმრთისა ჩვენთვის, ყოველი ადამიანისათვის, და ჩვენი ხსნისათვის გადმოვიდა ზეციდან ქვეყნად.

კ. სახელდობრ, რისგან უნდა გამოვეხსენით მას?

მ. ცოდვის, წყევისა და სიკვდილისაგან.

კ. რა არის ცოდვა?

მ. ცოდვა არის სჯულის დარღვევა.

კ. რა არის წყევა?

მ. ცოდვის გამო კაცის დასჯა ღმრთის მართლმსაჯულებით.

კ. რა არის სიკვდილი?

მ. ხორციელი სიკვდილი არის ხორცისა და სულის გაყრა; ხოლო სულიერი სიკვდილი არის ღმრთის მადლის მოკლება.

კ. რას ნიშნავს სიტყვები: და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა?

მ. იმას, რომ მან მარიამ ქალწულისაგან სულიწმიდის გადმოსვლით მიიღო კაცის სხეული.

კ. რას ნიშნავს: განკაცნა?

მ. იმას, რომ ის შეიქმნა სრული კაცი, მიიღო არა მარტო სხეული, არამედ კაცის სულიც.

კ. რას უწოდებს მართლმადიდებელი ეკლესია ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს?

მ. ღმრთისმშობელს და, როგორც ღმრთის დედას, ქერუბიმებსა და სერაფიმებზე მეტ პატივს სცემს.

მეოთხე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი სარწმუნოების სიმბოლოს მეოთხე მუხლში?

მ. იესო ქრისტეს ტანჯვისა და სიკვდილის შესახებ.

კ. იესო ქრისტე როგორ ეტნაჯა და მოკვდა, როდესაც ის ჭეშმარიტი ღმერთია?

მ. ის ეწამა და მოკვდა სხეულით, ე. ი. კაცობრივი ბუნებით და არა ღმრთაებრივით.

კ. რას ნიშნავს სიტყვები: ჯვარს ეცვა ჩვენთვის, პონტოელისა პილატეს ზე?

მ. იმას, რომ ძე ღმრთისა ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელი პილატეს დროს, რომელიც იყო იუდეის რომაელი მმართველი.

კ. რას ნიშნავს სიტყვები: ივნო და დაეფლა?

მ. იმას, რომ მან დაითმინა წამება, მოკვდა ჯვარზე და დაასაფლავეს.

მეხუთე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი სარწმუნოების სიმბოლოს მეხუთე მუხლში?

მ. იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ.

კ. რას ნიშნავს სიტყვები: და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა?

მ. იმას, რომ ძე ღმრთისა, იესო ქრისტე, აღდგა თავისი ღმრთაებრივი ძლიერებით, გაცოცხლდა სიკვდილის შემდეგ მესამე დღეს, როგორც წინასწარმეტყველთა მიერ იყო წინათვე თქმული და დაწერილი საღმრთო წერილში.

მეექვსე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი მეექვსე მუხლში?

მ. იესო ქრისტეს ზეცაში ამაღლების შესახებ.

კ. რომელი ბუნებით ამაღლდა იესო ქრისტე ზეცაში, ღმრთაებრივით. თუ კაცობრივით?

მ. კაცობრივი ბუნებით. ხოლო ღმრთაებრივი ბუნებით ის ყოველთვის იმყოფებოდა ზეცაშიც და ქვეყანაზეც.

კ. რას ნიშნავს სიტყვები: და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა?

მ. ამაღლების შემდეგ ის დაჯდა მამა ღმერთის მარჯვენით, ესე იგი, მას აქვს ისეთივე ძალა, დიდება და პატივი, როგორც მამა ღმერთს.

მეშვიდე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი მეშვიდე მუხლში?

მ. ქვეყნად იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის, საშინელი სამსჯავროსა და საუკუნო სუფევის შესახებ.

კ. რას ნიშნავს სიტყვები: და კვალად მომავალ არს დიდებით?

მ. იმას, რომ იესო ქრისტე კიდევ (მეორედ) მოვა ქვეყნად თავისი დიდებით.

კ. რისთვის მოვა იესო ქრისტე მეორედ?

მ. ის მოვა, რათა განსაჯოს ყოველი ადამიანი, ცოცხლები (რომელნიც ცოცხლები იქნებიან მისი მეორედ მოსვლის დროს) და მკვდრები (რომელნიც აღდგებიან მეორედ მოსვლის წინ).

კ. როგორ განსჯის ის?

მ. ყოველი კაცის სინდისი გამოაშკარავდება და გამოჩნდება ყველა მათი საქმე, სიტყვა და გულისთქმა.

კ. როდის მოვა ქრისტე განსასჯელად?

მ. არავინ იცის. და ამიტომ ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ყოველთვის მზად ვიყოთ მისი მოსვლისათვის.

კ. რა იქნება საყოველთაო განსჯის შემდგომ?

მ. ქრისტეს სასუფეველი, რომელსაც არ ექნება დასასრული.

მერვე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი მერვე მუხლში?

მ. ყოვლადწმიდა სამების მესამე სახის — სულიწმიდის შესახებ.

კ. რატომ ეწოდება სულიწმიდას უფალი?

მ. იმიტომ, რომ ის არის ჭეშმარიტი ღმერთი, როგორც მამა ღმერთი და ძე ღმერთი.

კ. რატომ ეწოდება მას ცხოველმყოფელი?

მ. იმიტომ, რომ ის სიცოცხლეს აძლევს მამა ღმერთსა და ძე ღმერთთან ერთად ყოველ ქმნილებას, განსაკუთრებით სულიერ სიცოცხლეს — ადამიანებს. მაშასადამე, ის არის ყოვლის შემოქმედი, როგორც მამა ღმერთი და ძე ღმერთი.

კ. რას ნიშნავს სიტყვები: რომელი მამისაგან გამოვალს?

მ. იმას, რომ სულიწმიდა გამოდის მამა ღმერთისაგან და ამით განირჩევა ყოვლადწმიდა სამების მეორე სახისაგან, ძე ღმერთისაგან, რომელიც მამისაგან იშვა.

კ. საიდან ჩანს, რომ სულიწმიდა მამისაგან გამოდის?

მ. იესო ქრისტეს სიტყვებიდან: სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს (იოან. 15, 26).

კ. რას ნიშნავს სიტყვები: მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის— იცემების და იდიდების?

მ. იმას, რომ სულიწმიდას თაყვანი უნდა ვცეთ და ვადიდოთ ისე, როგორც ვადიდებთ და თაყვანს ვცემთ მამას და ძეს.

კ. რას ნიშნავს: რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ?

მ. იმას, რომ ის ლაპარაკობდა წინასწარმეტყველთა მიერ, ესე იგი, წინასწარმეტყველნი ლაპარაკობდნენ და წერდნენ სულიწმიდის შთაგონებით.

მეცხრე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი მეცხრე მუხლში?

მ. ეკლესიის შესახებ.

კ. რა არის ეკლესია?

მ. ეკლესია არის კრება ანუ საზოგადოება ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა, ხოლო მართლმადიდებელი ქრისტიანი თითოეული ცალკე არის ეკლესიის წევრი. ამ საზოგადოებაში მუდამ იმყოფება და მოქმედებს ქრისტე თავისი მადლით.

კ. რატომ არის ეკლესია ერთი?

მ. იმიტომ, რომ მას ჰყავს ერთი თავი ქრისტე, მასში მოქმედებს ერთი სულიწმიდა და ეკლესიის ყველა წევრს აქვს ერთი სარწმუნოე-

ბა და სულიერად შეადგენენ ერთ მთლიანობას.

კ. რატომ ეწოდება ეკლესიას წმიდა?

მ. იმიტომ, რომ განწმედილია იესო ქრისტესაგან მისი ტანჯვით, მოძღვრებით, ლოცვით და საიდუმლოებებით.

კ. რატომ ეწოდება ეკლესიას წმიდა, როცა მასში არიან ცოდვილნიც?

მ. ცოდვილნი ინანიებენ ცოდვებს და ღმრთის მადლის ძალით მოიქცევიან; ხოლო შეუნანებელი ცოდვილები, როგორც ხისაგან ხმელი ტოტები, იკვეთებიან ეკლესიისაგან.

კ. რატომ ეწოდება ეკლესიას კათოლიკე, ანუ საყოველთაო (მსოფლიო)?

მ. იმიტომ, რომ მას ეკუთვნიან ყოველი ადგილის, დროისა და ხალხის მორწმუნეები.

კ. რატომ ეწოდება ეკლესიას სამოციქულო?

მ. იმიტომ, რომ ის შეუცვლელად იცავს მოციქულთაგან მიღებულ მოძღვრებას და მოციქულთაგანვე აქვს მიღებული თავისი იერარქია.

კ. რა არის იერარქია?

მ. იერარქია არის მღვდელთმთავრობა, ანუ საეკლესიო მთავრობა, რომელიც მართავს და განაგებს ეკლესიურ საქმეებს.

კ. მოციქულებიდან რა სახით მომდინარეობს მადლი იერარქიაში?

მ. საღმრთო ხელდასხმის მეშვეობით მღვდლად კურთხევის საიდუმლოს აღსრულებისას.

კ. რომელი საეკლესიო მთავრობა განაგებს მთელ კათოლიკე ეკლესიას?

მ. მსოფლიო კრება.

კ. რომელ საეკლესიო მთავრობას ემორჩილებიან მსოფლიო ეკლესიის უმთავრესი ნაწილები?

მ. უწმინდეს პატრიარქებს და უწმინდეს სინოდს.

მეათე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი მეათე მუხლში?

მ. ნათლისღებისა და სხვა საიდუმლოთა შესახებ.

კ. რა არის საიდუმლო?

მ. საიდუმლო არის ისეთი მღვდელმოქმედება, რომელშიც უხილავად (საიდუმლოდ) მიეცემათ მორწმუნეებს მადლი, ანუ ძალა სულიწმიდისა.

კ. რამდენი საიდუმლო არსებობს?

მ. შვიდი: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, სინანული, მღვდელობა, ქორწინება და ზეთის კურთხევა.

კ. როგორ სრულდება ნათლისღება?

მ. მოსანათლავს სამჯერ ჩაუშვებენ წყალში და წარმოთქვამენ სიტყვებს: „ნათელს იღებს მონა ღმრთისა (ანუ მხევალი ღმრთისა) (სახელს წარმოთქვამენ) სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა“.

კ. რატომ ინათლება კაცი?

მ. იმიტომ, რომ იწმინდება ცოდვებისაგან და იღებს მადლით შემოსილ ახალ ცხოვრებას.

კ. რატომ არიან ნათლისღების დროს მიმქმელნი (ნათლიები)?

მ. იმიტომ, რომ თავმდები იყვნენ ეკლესიის წინაშე მონათლულის სარწმუნოებაზე და შემდეგ იზრუნონ იმაზე, რომ განამტკიცონ მასში სარწმუნოება.

კ. რატომ არის ნათქვამი სიმბოლოში: აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა?

მ. იმიტომ, რომ ნათლისღება არ განმეორდება.

კ. რატომ ჰკიდებენ მონათლულს გულზე ჯვარს?

მ. რათა მუდამ ახსოვდეს, რომ არ შეიძლება ცხოვანება (ხსნა), თუ არ გვწამს ჯვარცმული ქრისტე. ამასთან, ჯვარი იფარავს კაცს ყოველი ბოროტისაგან.

კ. როგორ სრულდება მირონცხება?

მ. მონათლულს ცხებენ წმიდა მირონს და წარმოთქვამენ სიტყვებს: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა“.

კ. რა ეძლევა კაცს საიდუმლო მირონცხებით?

მ. სულიწმიდის მადლი, რომლის შემწეობით კაცი იზრდება და ძლიერდება სულიერ ცხოვრებაში.

მ. რა არის ზიარება?

მ. ის, რომ მორწმუნე პურის და ღვინის სახით მიიღებს ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცსა და სისხლს.

კ. რა სიკეთეს მიიღებს მაზიარებელი?

მ. ის უხილავად უერთდება ქრისტეს და საუკუნო ცხოვრების მოზიარე ხდება.

კ. როგორ უნდა მოვემზადოთ წმიდა ზიარებისათვის?

მ. მარხვით, ლოცვით, ყველასთან შერიგებით, სინანულისა და აღსარების საიდუმლოთი.

კ. რაში მდგომარეობს სინანული?

მ. იმაში, რომ მონანულმა აღიაროს მღვდლის წინაშე ის ცოდვები, რასაც მონათვლის შემდეგ შეცოდებს. ასე, მღვდლის მეშვეობით მიიღებს შენდობას თვით იესო ქრისტესაგან.

კ. რა მოეთხოვება სინანულში მყოფს?

მ. ცოდვებზე წუხილი, განზრახვა—გამოასწოროს თავისი ცხოვრება, განამტკიცოს სარწმუნოება ქრისტესადმი და მისი მოწყალების იმედი ჰქონდეს.

კ. რა არის მღვდელობა?

მ. ის, რომ ღირსეულად ამორჩეულს ეპისკოპოსის ლოცვით და ხელდასხმით მიეცემა მადლი, რათა შეასრულოს საიდუმლონი და უპატრონოს ქრისტეს სამწყსოს.

კ. მღვდლობის რა ხარისხები ვიცით?

მ. სამი: ეპისკოპოსის, მღვდლისა და დიაკვნის. დიაკვანი ეხმარება ეპისკოპოსს და მღვდელს საიდუმლოთა შესრულების დროს; მღვდელი თვითონ ასრულებს საიდუმლოებებს; ეპისკოპოსს, გარდა იმისა, რომ თავად ასრულებს საიდუმლოებებს, უფლება აქვს, აკურთხოს სხვა სამღვდელო პირი საიდუმლოთა შესასრულებლად.

კ. რა არის ქორწინების საიდუმლო?

მ. ის, რომ სასიძოსა და სასძლოს თავისუფალი თანხმობისას კურთხეული ხდება მათი მეუღლეობრივი კავშირი, ეკლესიასთან ქრისტეს სულიერი კავშირის მსგავსად.

კ. რა მოეთხოვება მათ, რომლებიც ქორწინდებიან?

მ. ერთმანეთის სიყვარული, ერთგულება და შვილების აღზრდა ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და კეთილმსახურებაში.

კ. როგორ სრულდება ზეთის კურთხევა?

მ. მორწმუნეს სცხებენ ნაკურთხ ზეთს და მოუწოდებენ მასზე სულიწმიდის მადლს, რომელიც კურნავს სულიერ და ხორციელ უძლურებათაგან.

მეთერთმეტე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი მეთერთმეტე მუხლში?

მ. მკვდრების აღდგომის შესახებ.

კ. როგორ მოხდება მკვდრების აღდგომა?

მ. ყოველი მკვდარი ადამიანის სული ხელახლად შეისხამს ხორცს და ასე, ადამიანი გაცოცხლდება, აღდგება მკვდრეთით და ამის შემდეგ უხრწნელი და უკვდავი იქნება.

კ. რა სახით შეუძლია აღდგომა სხეულს, რომელიც უკვე გახრწნილია და გაბნეული?

მ. ეს მოხდება ღმრთის ძალით, ღმერთმა პირველად კაცის სხეული მიწისაგან შექმნა, მას შეუძლია მიწაში გაბნეულიც განაახლოს.

კ. ყველა აღდგება?

მ. ყველა; ხოლო იმ კაცთა სხეულნი, რომელნიც აღდგომის დროსათვის ცოცხალნი იქნებიან, წამიერად (მეყსეულად) შეიცვლებიან უხრწნელად.

კ. როდის მოხდება მკვდრების აღდგომა?

მ. ამ ხილული ქვეყნის დასასრულს.

კ. ნუთუ ქვეყანაც დასრულდება (ბოლო მოეღება)?

მ. ეს გახრწნადი ქვეყანა დასრულდება იმით, რომ შეიცვლება უხრწნელად, ინება ახალი ცა და ახალი ქვეყანა.

კ. რა მდგომარეობაში არიან გარდაცვლილთა სულები მკვდართა საერთო აღდგომამდე?

მ. მართალთა სულები ნეტარებენ, თუმცა არასრულად; ცოდვილთა სულნი იტანჯებიან, მაგრამ ასევე არასრულად; სრული მისაგებელი ადამიანებს საშინელი განსჯის შემდგომ მიენიჭებათ.

კ. მოეხმარება რაიმე გარდაცვლილთა სულებს, რომელთაც ვერ მოასწრეს მონანიება?

მ. მათი დახმარება შეუძლია მათთვის აღვლენილ ლოცვას.

მეთორმეტე მუხლი

კ. რის შესახებ არის ლაპარაკი მეთორმეტე მუხლში?

მ. მომავალი საუკუნო ცხოვრების შესახებ, რომელიც დადგება მკვდრების აღდგომისა და საშინელი განსჯის შემდეგ.

კ. როგორი იქნება ეს ცხოვრება?

მ. ეს ცხოვრება მართალთათვის იქნება ისეთი ნეტარი, რომ ჩვენ წარმოდგენაც არ შეგვიძლია, ხოლო ცოდვილთათვის მეტად სატანჯველი.

კ. რას ნიშნავს სიტყვა „ამინ“?

მ. სიტყვა „ამინ“ ნიშნავს: ჭეშმარიტად, ასეა. როდესაც დავამთავრებთ ამ სიტყვით სარწმუნოების სიმბოლოს, ჩვენ ვადასტურებთ, რომ გვწამს ისე, როგორც წარმოვთქვით.

სასოება (იმედი)

კ. რა არის ქრისტიანული სასოება?

მ. გულის დამშვიდება ღმრთის მიმართ რწმენით, რომ დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ხსნისათვის და გვანიჭებს აღთქმულ ნეტარებას.

კ. რა საშუალება გვაქვს სასოების მოსაპოვებლად?

მ. სასოების მოსაპოვებელი საშუალება არის ლოცვა.

კ. რა არის ლოცვა.

მ. გონებისა და გულის ამაღლება ღმრთის მიმართ.

კ. რას ვეუბნებით ღმერთს ლოცვისას?

მ. ლოცვისას ვთხოვთ ღმერთს იმას, რაც ჩვენთვის საჭიროა; მადლობას ვწირავთ მას ყოველივე მოწყალებისათვის, რომელიც მან მოგვანიჭა და ვადიდებთ მისი ღმრთაებრივი უაღრესობისათვის.

კ. შეიძლება უსიტყვოდ ლოცვა?

მ. შეიძლება გონებით და გულით, ამიტომ მას შინაგანი ლოცვა

ეწოდება; მაგრამ ის არ კმარა: შინაგანი ლოცვა უნდა გამოვხატოთ სიტყვითა და ლოცვის გარეგანი ნიშნებით.

კ. რომელი ლოცვა არის უმთავრესი და უსაჭიროესი ყოველი ქრისტიანისათვის?

მ. საუფლო ლოცვა.

საუფლო ლოცვა

კ. როგორ წარმოითქმის საუფლო ლოცვა?

მ. მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ გასაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება უკუნისამდე, ამინ.

კ. რატომ ეწოდება ამ ლოცვას საუფლო?

მ. იმიტომ, რომ თვითონ ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ ასწავლა იგი თავის მოწაფეებს, რომლებმაც შემდეგ გადასცეს იგი ყველა ქრისტიანს.

კ. როგორ შეიძლება მისი დაყოფა?

მ. მოწოდებად, შვიდ თხოვნად და დიდებისმეტყველებად.

მოწოდება

კ. როგორ გამოითქმის მოწოდება?

მ. მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა.

კ. ღმერთს რატომ ვუწოდებთ მამას?

მ. უფალმა იესო ქრისტემ მოგვცა ჩვენ, მორწმუნეებს ეს უფლება, ვინაიდან მას ვუყვარვართ, როგორც მამას, და ლოცვის დროს უნდა მივიქცეთ ღმრთისადმი სიყვარულითა და იმედით, როგორც შვილი თავის მამისადმი.

კ. ყოველთვის უნდა ითქვას: მამაო ჩვენო, თუნდაც ერთი ვინმე ლოცულობდეს?

მ. უსათუოდ, იმიტომ, რომ მარტო ჩვენი თავისთვის კი არ უნდა ვლოცულობდეთ, არამედ სხვისთვისაც.

კ. რატომ ვამბობთ: რომელი ხარ ცათა შინა, როდესაც ღმერთი ყველგან მყოფია?

მ. ღმერთი ყველგან მყოფია, მაგრამ ცათა შინა არის მისი განსაკუთრებული სამყოფელი; ამიტომ როცა ლოცვას ვიწყებთ, უნდა ვიფიქროთ, ზეციურზე და დავივიწყოთ ყოველივე ქვეყნიური.

პირველი თხოვნა

კ. როგორ გამოითქმის პირველი თხოვნა?

მ. წმიდა იყავნ სახელი შენი.

კ. რას ვთხოვთ ღმერთს ამ სიტყვებით?

მ. ამ სიტყვებით ჩვენ ვთხოვთ ღმერთს, რომ შეგვეწიოს, რომ ვიცხოვროთ წმიდად და ჩვენი კეთილი საქმეებით მისი წმიდა სახელის დიდება გავავრცელოთ ადამიანთა შორის, რომ მათაც, როცა იხილავენ ჩვენს კეთილ საქმეებს, ადიდონ ჩვენი ზეციერი მამა.

მეორე თხოვნა

კ. როგრ გამოითქმის მეორე თხოვნა?

მ. მოვედინ სუფევა შენი.

კ. რას ვთხოვთ ღმერთს ამ სიტყვებით?

მ. ამ სიტყვებით ვთხოვთ, რომ უფალი, რომელმაც ქვეყანაზე დააფუძნა თავისი მადლის სუფევა, ე. ი. ღმრთის ეკლესია, და რომელმაც ჩვენ, ქრისტიანები, ამ თავის სუფევაში მიგვიღო, შეგვეწიოს, რომ ვიყოთ მისი სუფევის ჭეშმარიტი შვილები ქვეყანაზე; ესე იგი, არა მარტო გვერქვას ქრისტიანები, არამედ ვცხოვრობდეთ კიდეც ქრისტიანულად.

მესამე თხოვნა

კ. როგორ გამოითქმის მესამე თხოვნა?

მ. იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.

კ. რას ვთხოვთ სიტყვებით: იყავნ ნება შენი?

მ. ვთხოვთ, რომ ყოველივე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და რაც შეგვემთხვევა, მოხდეს ისე კი არა, როგორც ჩვენ გვინდა, არამედ როგორც ღმერთს ნებავს, რადგან ღმერთმა უკეთ იცის, რა არის ჩვენთვის სასარგებლო და საჭირო?

კ. რატომ ვუმატებთ: ვითარცა ცათა შინა?

მ. იმიტომ, რომ ზეცაში ანგელოზები და წმინდანები ყოველთვის ასრულებენ ღმრთის ნებას.

მეოთხე თხოვნა

კ. როგორ გამოითქმის მეოთხე თხოვნა?

მ. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს.

კ. რას ვითხოვთ ამ სიტყვებით?

მ. ვითხოვთ, რომ ღმერთმა მოგვცეს ყოველ დღეს, რაც საჭიროა

ჩვენი არსებობისათვის, სახელდობრ: საჭმელი, სასმელი, ტანისამოსი, ბინა; აგრეთვე მადლი, სულიერი საზრდელი, რაც აუცილებელია ადამიანის სულიერი არსებობისათვის.

მეხუთე თხოვნა

კ. როგორ გამოითქმის მეხუთე თხოვნა?

მ. და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა.

კ. რას ვითხოვთ ამ სიტყვებით?

მ. ვითხოვთ, რომ ღმერთმა გვაპატიოს ჩვენი ცოდნები, როგორც ჩვენ ვაპატიებთ ადამიანებს, რომლებმაც გვაწყენინეს და შეგვაწუხეს.

კ. რა იქნება, თუ ჩვენ ვთხოვთ ღმერთს ცოდვათა პატიებას და თვითონ კი არ ვაპატიებთ სხვებს?

მ. მაშინ არც ჩვენ გვაპატიებს ღმერთი ჩვენს ცოდვებს.

მეექვსე თხოვნა

კ. როგორ გამოითქმის მეექვსე თხოვნა?

მ. და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა.

კ. რა არის განსაცდელი?

მ. განსაცდელი არის ცხოვრებაში ისეთი შემთხვევა, რომლის დროსაც ადვილად შეგვიძლია დავკარგოთ სარწმუნოება, ან ჩავვარდეთ მძიმე ცოდვაში.

კ. საიდან მოდის განსაცდელი?

მ. ჩვენი ხორციდან, საწუთროსაგან, კაცთა და ეშმაკთაგან.

კ. რას ვითხოვთ სიტყვებით: და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა?

მ. ვითხოვთ, რომ ღმერთმა აგვაშოროს განსაცდელი, ან მოგვცეს ძალა, რომ ვძლიოთ განსაცდელს და არ ჩავიდინოთ ცოდვა.

მეშვიდე თხოვნა

კ. როგორ გამოითქმის მეშვიდე თხოვნა?

მ. არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

კ. რას ვითხოვთ ამ სიტყვებით?

მ. ვითხოვთ, რომ ღმერთმა გამოგვიხსნას ყოველი ბოროტისა და გასაჭირისაგან, აგრეთვე ცოდვისა და ეშმაკისაგან.

კ. როგორ გამოითქმის დიდებისმეტყველება?

მ. რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

კ. რას გამოვხატავთ დიდებისმეტყველებით?

მ. დიდებისმეტყველებით გამოვხატავთ იმედს, რომ მივიღებთ, რაც ვითხოვეთ, რადგანაც ღმერთს ეკუთვნის სუფევა და მას შეუძლია ყოველივე რასაც ჩვენ ვთხოვთ; მას ეკუთვნის ძალა და შეუძლია მოგვცეს, რაც ვთხოვეთ; მას ეკუთვნის დიდება, ვინაიდან არის კეთილი და მრავალმოწყალე.

სიყვარული

კ. რა არის ქრისტიანული სიყვარული?

მ. ქრისტიანული სიყვარული არის ღმრთის სჯულის (კანონის) ძალდაუტანებლად და გულწრფელად შესრულება.

კ. რა არის ღმრთის სჯული?

მ. ღმრთის სჯული არის კანონი მორწმუნეთა ყოფა-ქცევის შესახებ. ესე იგი, კანონი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ უნდა იცხოვროს მორწმუნემ.

კ. სად სწერია ეს კანონი?

მ. პირველად თითოეული კაცის გულში, ეს არის შინაგანი სჯული; და მეორედ — ღმრთის მცნებაში, ეს არის გარეგანი სჯული.

კ. რა ჰქვია შინაგან სჯულს?

მ. სინდისი.

კ. რომელია უმთავრესი მცნებები?

მ. ათი მცნება, რომლებიც მოგვცა ღმერთმა სინას მთაზე მოსეს მიერ, და რომლებიც დაწერილი იყო ქვის ორ დაფაზე.

კ. რაზე მიანიშნებს ის, რომ ათი მცნება დაწერილი იყო ქვის ორ დაფაზე?

მ. იმაზე, რომ ისინი შეიცავენ ორგვარ სიყვარულს: ღმრთის სიყვარულს და მოყვასის სიყვარულს.

კ. რა არის ღმრთის სიყვარული?

მ. ღმრთის მიმართ იმ მოვალეობათა ჭეშმარიტად შესრულება, რომელთაც გვიწესებს ღმრთის სჯული.

კ. რა არის მოყვასის სიყვარული?

მ. მოყვასის მიმართ იმ მოვალეობათა ჭეშმარიტად აღსრულება, რომელთაც გვიწესებს ღმრთის სჯული.

კ. რომელ მცნებებშია ლაპარაკი ღმრთის მიმართ კაცის მოვალეობაზე?

მ. პირველ ოთხ მცნებაში.

კ. რომელ მცნებებშია ლაპარაკი კაცის მოვალეობაზე მოყვასის მიმართ?

მ. უკანასკნელ ექვს მცნებაში.

კ. ვინ არის ჩვენი მოყვასი?

მ. ყოველი ადამიანი.

ათი მცნება

პირველი მცნება

კ. როგორ გამოითქმის პირველი მცნება?

მ. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყავნ შენდა ღმერთნი სხვანი ჩემსა გარეშე.

კ. რას გვიბრძანებს ღმერთი პირველი მცნებით?

მ. პირველი მცნებით ღმერთი გვიბრძანებს, ვცნოთ და პატივი ეცეთ მას, გვწამდეს იგი, იმედი გვქონდეს მისი, გვიყვარდეს იგი და ვიმორჩილებოდეთ მის ნებას, თაყვანი ვცეთ მას, ვადიდოთ იგი; ვმადლობდეთ ღმერთს მისი მოწყალების გამო და ვევედროთ მას; ვაღიაროთ იგი, ისე იგი, ყოველი კაცის წინაშე ვცნოთ იგი ჩვენს ღმერთად და არ უარვყოთ იგი.

კ. რა უნდა ვქნათ, რომ ვცნოთ ღმერთი?

მ. ბეჯითად ვისმინოთ ღმრთის სიტყვა ეკლესიაში, ვიკითხოთ საღმრთო წერილი და წმიდა მამათა ნაწერები, ვიკითხოთ და მოვისმინოთ მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მოწონებული სხვა სასულიერო შინაარსის წიგნები.

კ. რომელი ცოდვებია პირველი მცნების წინააღმდეგი?

მ. 1. ულმრთოება, როდესაც უგნურები თავიანთ გულში ამბობენ: ღმერთი არ არისო; 2. მრავალღმერთობა, როდესაც აღიარებენ მრავალ ცრუღმერთებს; 3. ურწმუნოება; 4. მწვალებლობა; 5. განდგომილება; 6. სასოწარკვეთილება; 7. მკითხაობა და ცრუმორწმუნეობა.

კ. ანგელოზთა და წმიდათა მიმართ პატივისცემა ეთანხმება პირველ მცნებას?

მ. მათი კანონიერი პატივისცემა ამ მცნების თანახმაა, ვინაიდან მათი სახით პატივს ვცემთ ღმერთის მადლს, რომელიც მათ შორის დამკვიდრებულა, მათ მიერ მოქმედებს და შეწევნასაც მათ მიერ ვთხოვთ ღმერთს.

მეორე მცნება

კ. როგორ გამოითქმის მეორე მცნება?

მ. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა; არა თაყვანისცე მათ და არცა ჰმსახურებდე მათ.

კ. რას გვიკრძალავს ღმერთი ამ მცნებით?

მ. კერპთა თაყვანისცემას.

კ. რა არის კერპი?

მ. კერპი არის ცრუღმერთის ქანდაკება.

კ. მეორე მცნება ხატთა თაყვანისცემას არ გვიკრძალავს?

მ. არ გვიკრძალავს, რადგანაც ხატები ჭეშმარიტი ღმერთისა და მისი წმიდანების გამოსახულებებია და, როცა ჩვენ მათ თაყვანს ვცემთ, გონების თვალით უნდა მივხედოთ ღმერთს და იმ წმინდანებს, რომლებიც ხატებზე არიან გამოსახულნი.

კ. რა ცოდვებს გვიკრძალავს ეს მცნება?

მ. კერპთაყვანისცემას, ანგარებას, ნაყროვანებას, სიმთვრალეს, ამპარტავნებას და მედიდურობას.

მესამე მცნება

კ. როგორ გამოითქმის მესამე მცნება?

მ. არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა.

კ. რას გვიკრძალავს ღმერთი ამ მცნებით?

მ. ღმრთის სახელის ცუდად და ტყუილ-უბრალოდ ხსენებას.

კ. როდის უნდა ვახსენოთ ღმერთის სახელი?

მ. ლოცვისას და საღმრთო სწავლისას.

კ. რა ცოდვებს გვიკრძალავს ეს მცნება?

მ. ღმრთის გმობას, მის მიმართ საყვედურს, დაცინვას, როცა საღმრთო საგნებს გახდიან სახუმროდ, ან საგინებლად; უყურადღებობას ლოცვის მიმართ, ღმრთისათვის მიცემული აღთქმის დარღვევას და ტყუილ-უბრალოდ დაფიცებას.

მეოთხე მცნება

კ. როგორ გამოითქმის მეოთხე მცნება?

მ. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოედე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შენი; ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღმრთისა შენისა.

კ. რას გვიბრძანებს ღმერთი ამ მცნებით?

მ. ექვს დღეს მუშაობას და საქმის კეთებას, ხოლო მეშვიდე დღის ღმრთისათვის შეწირვას.

კ. კვირაში რომელი დღე უნდა შევწიროთ ღმერთს? ანუ ვიდღესასწაულოთ?

მ. ძველი აღთქმის ეკლესიაში დღესასწაულობდნენ შაბათს, ხოლო ქრისტიანები — კვირა დღეს. კვირა დღის გარდა ღმერთს უნდა შევწიროთ სხვა სადღესასწაულო დღეებიც, რომლებიც დადგენილია ჩვენი უფლის იესო ქრისტეს, ღმრთისმშობლისა და წმინდანთა სადიდებლად.

კ. როგორ უნდა გავატაროთ კვირა და სხვა დღესასწაულები?

მ. უნდა დავესწროთ ღმრთისმახურებას ტაძარში, მხურვალედ ვილოცოთ, ვიკითხოთ საღმრთო წერილი და სხვა სულის მაცხოვნებელი წიგნები. უნდა შევწიროთ რაიმე ტაძრის სასარგებლოდ და მის მოსამსახურეთათვის; აღმოუჩინოთ შემწეობა ღარიბებს, მოვინახულოთ ავადმყოფები, საპყრობილეში მყოფნი და სხვა.

კ. რა უნდა ვიფიქროთ იმათ შესახებ, ვინც დღესასწაულის დღეებში უწესო თამაშობითა და უზომო ჭამა-სმით ერთობა?

მ. ისინი არღვევენ დღესასწაულის სიწმიდეს.

კ. დღესასწაულების გარდა რომელ დღეებს ვწირავთ ღმერთს?

მ. მარხვის დღეებს.

კ. რა ცოდვებს გვიკრძალავს ეს მცნება?

მ. სიზარმაცესა და უქმად ყოფნას.

მეხუთე მცნება

კ. როგორ გამოითქმის მეხუთე მცნება?

მ. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.

კ. რას გვიბრძანებს ღმერთი ამ მცნებით?

მ. მშობელთა პატივისცემას და მათ მორჩილებას.

კ. კიდევ რა მოვალეობა გვაქვს მშობელთა წინაშე?

მ. 1. მათთვის უნდა ვევედროთ ღმერთს, როგორც მათ სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგ; 2. უნდა ვეხმარებოდეთ მათ შრომისა და გაჭირვების დროს; 3. უნდა გამოვკვებოთ და მოვასვენოთ ისინი ავადმყოფობისა და მოხუცებულობის დროს; 4. სწორად ავასრულოთ მათი ანდერძი, თუკი ღმრთის სჯულისა და სამოქალაქო კანონის წინააღმდეგი არ არის.

კ. რას ჰპირდება ღმერთი დედ-მამის პატივისმცემლებს?

მ. ბედნიერ და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

კ. მარტო მშობლებს უნდა ვცეთ პატივი?

მ. მშობლებს გარდა პატივი უნდა ვცეთ იმათაც, რომელთაც

სხვადასხვა შემთხვევაში უჭირავთ მშობელთა ადგილი, სახელდობრ: 1. სულიერ მწყემსებსა და მასწავლებლებს; 2. უფროსებს; 3. აღმზრდელებსა და კეთილისმყოფელებს: 4. ასაკით უხუცესებს.

მეექვსე მცნება

კ. როგორ გამოითქმის მეექვსე მცნება?

მ. არა კაც-ჰკლა.

კ. რას გვიკრძალავს იგი?

მ. მკვლელობას, ანუ ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, რა სახითაც არ უნდა იყოს.

კ. ხუთუ ყველა მკვლელობა სჯულის (კანონის) წინააღმდეგია?

მ. ყველა არა, და სახელდობრ: 1. როცა დამნაშავეს სიკვდილით სჯიან მართლმსაჯულებისამებრ; 2. როცა მტერს კლავენ ომში მამულისათვის.

კ. როგორი შემთხვევები ეკუთვნის კიდევ სჯულის დამარღვეელ მკვლელობებს?

მ. შემდეგნი: როცა მსაჯული დასჯის ბრალდებულს, რომლის უდანაშაულობა იცის; როცა მალავენ, ანუ ათავისუფლებენ მკვლელს და ამით აძლევენ შემთხვევას ახალი მკვლელობისა; როდესაც არ იხსნიან მახლობელს სიკვდილისაგან, თუმცა კი შეუძლიათ გადარჩენა.

კ. კიდევ რა ცოდვებს გვიკრძალავს მეექვსე მცნება?

მ. თვითმკვლელობას, განრისხებას, სიძულვილს, შურს, სისასტიკეს, შფოთსა და ჩხუბს.

კ. რას გვიბრძანებს ეს მცნება?

მ. დავიცვათ მოყვასის და საკუთარი თავის სიცოცხლე და კეთილდღეობა, დავიცვათ ჩვენი ჯანმრთელობა, შევეწიოთ ღარიბს, მოვუაროთ ავადმყოფს, ვანუგეშოთ მწუხარე, ვაპატიოთ შეურაცხყოფა და კეთილი ვუყოთ მტერს.

მეშვიდე მცნება

კ. როგორ გამოითქმის მეშვიდე მცნება?

მ. არა იმრუშო.

კ. რას გვიკრძალავს ეს მცნება?

მ. მრუშობას, ანუ ყოველგვარ ურიგოსა და უწმიდურ ხორციელ სიყვარულს.

კ. რას უნდა განვერიდოთ, რომ არ ჩავვარდეთ ამ ცოდვაში?

მ. უნდა განვერიდოთ ყოველივეს, რასაც შეუძლია აღძრას ჩვენს გულში უწმინდური გრძნობები და რაც შეაცდენს კაცს, სახელდობრ: ნაყროვანებასა და მთვრალობას, ცუდ სიტყვებს, ურცხვ სიმღერას, ცეკვას, თამაშსა და ხუმრობას.

კ. რას გვიბრძანებს ეს მცნება?

მ. ცოლ-ქმარს — ერთმანეთის სიყვარულსა და ერთგულებას, ხოლო უქორწინებელთ — სიწმიდეს და უმანკოებას.

მერვე მცნება

კ. როგორ გამოითქმის მერვე მცნება?

მ. არა იპარო.

კ. რას გვიკრძალავს ეს მცნება?

მ. ქურდობას, ანუ სხვისი ნივთის მითვისებას.

კ. რა ცოდვებია აკრძალული ამ მცნებით?

მ. ქურდობა, ანუ ფარულად სხვისი ნივთის მითვისება; გაძარცვა, ანუ ძალით სხვისი ნივთის წართმევა; მოტყუება, ანუ ცბიერებით სხვისი საკუთრების მითვისება; მკრეხელობა, ანუ მითვისება იმისი, რაც ღმრთისათვის არის შეწირული, ან ეკლესიას ეკუთვნის; მეჭრთამეობა, მუქთახორობა, როცა ხელფასს იღებენ და საქმეს არ აკეთებენ; ან შეუძლიათ მუშაობა, მაგრამ სიზრმაცის გამო არ მუშაობენ და მოწყალების გამოთხოვნით ცხოვრობენ; ანგარება, როცა ავიწროებენ მოყვასს, სარგებლობენ მისი გაჭირვებით.

კ. რას გვასწავლის მერვე მცნება?

მ. უანგარობას, ერთგულებას, პატიოსნებას, მართლმსაჯულებას, ღარიბთა შეწყალებას.

მეცხრე მცნება

კ. როგორ გამოითქმის მეცხრე მცნება?

მ. არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.

კ. რა ცოდვებია აკრძალული ამ მცნებით?

მ. ცრუმოწმობა, ცილისწამება და ყოველგვარი სიცრუე.

კ. რას გვასწავლის ეს მცნება?

მ. რომ ყოველთვის სიმართლეს ვამბობდეთ.

მეათე მცნება

კ. როგორ გამოითქმის მეათე მცნება?

მ. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა ყარაულისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.

კ. რას გვიკრძალავს ეს მცნება?

მ. ის გვიკრძალავს არათუ ცუდ საქმეს, არამედ ცუდ სურვილსაც და ცუდ ფიქრსაც კი, რომ ცუდმა ფიქრმა და სურვილმა არ მიგვიყვანოს ცუდ საქმემდე.

კ. რომელია ამ მცნების საწინააღმდეგო ცოდვა?

მ. შური.

კ. რას გვასწავლის ეს მცნება?

მ. იმას, რომ გვიყვარდეს სხვა, როგორც საკუთარი თავი და გვინდოდეს სხვისთვის ყოველივე კარგი; კმაყოფილი ვიყოთ იმით, რაც გვაქვს და წმიდად დავიცვათ გული.

შინაარსი

ქრისტიანული მოძღვრება 3

სარწმუნოების სიმბოლო 3

სასოება (იმედი) 13

საუფლო ლოცვა 14

სიყვარული 17

ათი მცნება 18

Нестор Кубанейшвили

Краткий Катехизис

(На грузинском языке)

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ხ ო ფ ე რ ი ა
მხატვრები: დ. გ ა ვ ა შ ე ლ ი და ე. ფ ა ი ლ ო ძ ე
ტექრედაქტორი ლ. კ უ ჭ უ ხ ი ძ ე
კორექტორი ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე

გდააეცა წარმოებას 9.01.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.01.91
ანაწყობის ზომა 6,12×9. ქაღალდის ზომა 60×84. ნაბეჭდი თაბახი 1,5,
შეკვ. 2 ტირაჟი 10.000

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „ხელოვნება“

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 179

Издательство «Хеловнеба»

Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 179

1991

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7

Тип. Мин. просвещения Груз. Республики, ул. Нуцубидзе № 7